№ 30 — 1917 | ფასი 20. კ. | ყოველკვირადი მეხუთე გამოცემისა
კვირა მკათათვის 23

ეგ. გეგეჭკორი ავათმყოფის გამო.

მიხეილ კავსაძის გუნდი პროვინციაში გამგზავრების გამო.

ნ. ლენინი, (ულიანოვი) ბოლშევიკების ლიდერი პეტროგრადის ბოლო დროს მ-ბოხების ერთი მეთაურთაგანი, რუსეთიდამ გაიქცა. გერმანელებისგან მოსყიდულია.

რევოლუციის გზაზე

კადეტები ალარ გაჰყვენ რევოლუციას. დროებით მთავრობას ჩამოშორდენ და კონტრ-რევოლუციის გზას დაადგენ.

რევალიუციას დღეს არი სახე აქვს: პოლიტიკური და სოციალური. მისი მიზანია მარტო უფლებრივი ცვლილების მოხდენა კიარა, არამედ ქონებრივიც.

კადეტები არიან ჯიბის ხალხის მეიდროშენი— მსხვილი ვაჭარ-მრეწველების წარმომადგენლები. ესენი პოლოტიკურ უფლებას მოვლებული იყვნენ და ამიტომ რევოლიციას თანაუგრძნდენ იმდენათ, რამდენათაც ისძალაუფლებას ბიუროკრატიასა და თავად აზნაურობას ართმევს ღა მათ ანიჭებს.

კაადეტები არ საჭიროებენ ქონებრივი ცვლილებას მოხდენას. პირიქით ისინი მტრულადაც უხვდებიან რევოლუციის სოციალურ მხარეს, რადგანაც ქონება მათ საკმაოთა აქვთ ამიტომ კერძო საკუთრების ხელის ხლებას მთელის თავის არსებით ეწინააღმდეგებიან. დამფუძვნელ კრებამდეო, თან უმატებენ ისინი, მაგრამ ვინ არ იცის ის, რომ კადეტები პოლიტიკის მასალათ იტყვიან იმას, რაც სრულებით არა სჯერათ, ან დაგპირდებიან, რომ პირველი შემთხვევისათანავე რუსული »ატკაზი« გტკიცონ; აბა რასა ბრძანებთ, მაგას როგორ დაგპირდებოდითო.

ახლაც თუ ითხოვენ: დამფუძნებელ კრებამდე ქონებრივი უთიერთობა ნუ შეიცვლებაო, იმიტომ რომ სწამთ, დამფუძნებელ კრებამდე მდგომარეობა იმდენათ შეიცვლება, რომ ქონებრივი უთიერთობის შეცვლა ჩაიდურის წყალს დალევსო.

ამგვარით ცხადია შემდეგი: მეორე ნახევარს რევოლუციისას, სოციალურ მხარეს კადეტები სრულებით უარყოფენ.

საკითხავია: პირველ ნახევარს რეოვლუციის, პოლიტიკურ მხარეს კადეტები სრულათ ღებულობენ თუ არა?

ორივე მხარე რევოლუციისა ხელოვნურათ კი არ არის ერთმანერთან შეკავშირებული— მათ შორის ბუნებრივი კავშირია, ვინც პირველს მიიღებს სრულათ, მან უნდა მიიღოს მეორის ნაწილი მაინც.

სრული გამარჯვება დღევანდელი რევოლიუციის პირველი მხარისა რას ნიშნავს? დემოკრატიის გაბატონებს.

რაკი დემოკრატია გაბატონდება, რაკი ძალა —უფლება დემოკრატიის ხელში გადავა, რაკი კანონმდებელი დემოკრატია იქნება, შეუძლებელია, სოციალური მხარე უყურადღებოდ დატოვოს.

მაშინ მან ხელი უნდა აიღოს რვა საათის სამუშაო დღეზე, მიწის საკითხის გადაჭრაზე და სხვ.

დემოკრატია ამას არასოდეს არ იზამს, რადგანაც ეს იქნებოდა თვითმკვლელობა.

ცხადია, თუკი კადეტები ეწინააღმდეგებიან რევოლიუციის სოციალურ მხარეს, ისინი ეწინააღმდეგებიან პოლიტიკური რევოლიუციის სრულ გამარჯვებასაც, მაგრამ ამას აშკარათ არ ამბობენ.

რაკი დემოკრატიის გაბატონება ნიშნავს არსებული სოციალური ურთიერთობის შეცვლასაც, ამიტომ კადეტები წინააღმდეგნი არიან დემოკრატიის გაბატონებისა.

პოლიტიკურ რევოლუციას კადეტები მხარს უჭერენ იმდენათ, რამდენათაც ის ძალა უფლებას მსხვილ ბურჟუაზიას ანიჭებს.

არსებული სოციალური უთრთიერთობა უცვლელი უნდა იყოს. მიწა უნდა დარჩეს ისევ თავადებს და მსხვილ მემამულებს. მუშებმა უნდა იმუშაონ თორმეტი საათი და მეტი. მთავრობის სათავეში უნდა იყონ კადეტები. თავისუფლება უნდა იყოს იმდენი, რამდენიც საჭიროა მსხვილი ბურჟუაზისათვის.

აი მოკლეთ კადეტების გატიტვლებული პროგრამა.

მართალია კადეტებს პროგრამაში უწერიათ მიწის ჩამორთმევა სამართლიან ფასში მაგრამ რაკი ძალა უფლებას ხელთ იგდებენ, მაშინ აქაც მიუმატებენ: თავადებისა და მემამულების ნება ყოფილობითო.

მაშინ მათი აგრარული პროგრამა ასე გადითარგმნება: თუ რომ თავადები და მემამულები მოისურვებენ და საკუთარ მიწებს შეელევიან, გლეხებს უფლება ეძლევათ, იყიდონ!!

ცხადია, ორი ძალა—მსხვილი ბურჟუაზია და დემოკრატია ერთმანერთს ებრძვის- თავად

აზნაურობა ორ ბანაკათ იყოფა: ერთი თვითმპყრობელობის აღდგენაზე ოცნებობს, მეორე მსხვილ ბურჟუაზიას ეკედლება იმ იმედით, იქნება ადგილ-მამული მაინც შევინარჩუნოვო.

რევოლუციის სათავეში ორივეს ძალა ერთათ იბრძოდა და ერთათ ამხობდა თვითმპყრობელობას.

რაც უფრო ვითარდებოდა რევოლუცია, მით უფრო აშკარავდებოდა, რომ ამ ორ ძალას სხვა და სხვა გზა ჰქონდა.

ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ მზათ ვიყავით დემოკრატიის სრული გამარჯვება გვედღესასწაულა, კადეტებმა პორტფელები დაჰყარეს და დროებითი მთავრობიდან გავიდნენ; ბურთი და მედანი დემოკრატიის წარმომადგენლებს დარჩათ.

დემოკრატიას ძალა უფლება ხელთ დარჩა. დემოკრატიამ მიიხედ მოიხედა და შედრკა, შეშინდა.

დემოკრატიის მეთაურებმა ისევ კადეტებს მიმართეს უთქვენოთ სამშობლოს ხსნა არ შეგვიძლიაო.

ახლა ისევ საკოალიციო სამინისტრო შესდგა და პირველობა ისევ კადეტების ხელშია.

კადეტებმა უკვე სხვა კილოთი დაიწყეს ლაპარაკი.

წინეთ მათგან გვეყურებოდა თავაზიანი სიტყვები: მობრძანდით, მიირთვით, დიდის სიამოვნებით, ოო რა საკვირველია და სხვა ამის მზგავსი.

ახლა კი: ჩვენ ასე გვსურს, ჩვენ ასე გვინდა, ჩვენ ამ პირობას ვდებთ, ჩვენ ამას მოვითხოვთ და სხვ.

კადეტების აღდგენას თან მოჰყვება სიკვდილით დასჯა, ცენზურა სიტყვისა და კრების თავისუფლების შეზღუდვა.

ამგვარათ რუსეთის რევოლიუციამ ივლისის აჯანყების შემდეგ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ მეორე დღესვე ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

თუ ასე ვიხიეთ უკან, მგონია ნიკოლოზ მეორესაც მივადგეთ კარებზე.

დემოკრატიის ბელადებს დიდი სიფრთხილე მართებთ და მეტი გამბედაობა.

რუსეთის მდგომარეობა შიგნით და ფრონტზე ისეთია, რომ ჯერ ჯერობით კადეტების ყოფნა სამინისტროში საჭიროა. სიკვდილის სასჯელით ბრძოლა ანარქიასთან და ჯარის დეზორგანიზაციასთან მათი საქმეა, მაგრამ დემოკრატიის მეთაურებმა კარგათ უნდა იცოდნენ: როგორც კი კადეტები საკმაოდ მოიმაგრებენ ფეხს, დემოკრატიას ხელსა ჰკრამენ.

ამიტომ დემოკრატიის მეთაურებმა უნდა დაასწრონ და იმდენათ მოიმაგრონ ფეხი, რომ კადეტები მალე ჩამოიშორონ.

ამისათვის საჭიროა მოქმედება და არა ლაპარაკი, საქმე და არა გძელი სიტყვები.

ივ. გომართელი.

ქართული თეატრის გარშემო

(წერილი ბათუმიდან).

თეატრი, ხელოვნების ტაძარი, სარკე ჩვენი ცხოვრებისა თითქმის ყველგან ყელახულია, აშორებულია თავის გზას—ხელოვნების სამსახურს და ფულის მახეთ არის დაგებული.

ლითონის ძალამ არც ეს ხელოვნების დარგი დასტოვა უყურადღებოთ, შიგ გაბატონდა. მაგრამ ჩვენი მიზანი არ არის ამ მცირე წერილში დახატვა იმის, თუ როგორ მდგომარეობაშია დღეს თეატრი. არამედ ჩვენი მიზანია მკითხველს მოკლედ გავაცნოთ ის სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ამ უკანასკნელ დღეებში ჰქონდა ადგილი ქ. ბათუმში და რომელმაც ყოველდღე მოლოდინს გადააჭარბა.

უსაზღვროა ლტოლვა თეატრისადმი ბათუმის საზოგადოებისა, თეატრი, როგორც გონებრივი საზრდო, დღეს დღიურ საკითხად არის გადაქცეული, საზოგადოებას სწყურია თეატრი და ისწრაფვის მისკენ. ამით სარგებლობენ რამოდენიმე პირნი და მოწყურებულ ხალხს მახეს უგებენ. ეს უკანასკნელნი რამდენიმე დღის წინეთ გამოაკრავენ ვრცელ შინარსიან აფიშებს და მოუწოდებენ დაესწრონ მათ წარმოდგენას მოწყურებული დემოკრატია არ იშურებს თავის უკანასკნელ კაპეიკებს და ეშურება თეატრისაკენ. მას გონია, მართლაც დააკმაყოფილებენ მის გონებრივ მოთხოვნილებებს, მიაწვდიან სულიერ სა-

ზრდის, მაგრამ მოტყუებული, იმედ გაცრუებული ბრუნდება სახლში. წარმოდგენის თუ საღამოს ინიციატორნი მოკრებენ რა საკმაო თანხას, „მათდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო“ ვერ ასრულებენ დანაპირების შესრულებას. ასეთი შემთხვევა არა ერთი და ორი ყოფილა ამ უკანასკნელ დღეებში. მათ ანკესებზე უმეტეს ნაწილად ებება მხოლოდ დემოკრატია, ვამბობ დემოკრატია, რადგანაც არისტოკრატიამ კარგად იცის მათი ოინები და უცხოელების თეატრითაც საკმაოდ იკმაყოფილებს თავის სულიერ მოთხოვნილებას.

არის მეორე ნაირი საშუალება, რომელსაც არა ნაკლები ადგილი აქვს ბათომში.

რომელიმე პიროვნება თუ დაწესებულება მართავს საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენას, ხალხში ხელითავრცელებს ბილეთებს და შემდეგ საზოგადოებას უმასპინძლდება ძველის, დრომოჭმული, უშინარსო და შისიც გაარყვნელი პიესებით.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელნი გამოდიან სცენის-მოყვარეთა სახელით და ასეთი გამოსვლებით ისინი მოყვრობის მაგიერ მტრობის უწევენ სცენას, რადგანაც მათი საქციელით ხალხში ბადებენ სიძულვილს თეატრისადმი. ასეთი საქციელით პრესტიჟი მელპომენას ტაძარს, ჩირქი ეცხება მათ მსახურთ.

ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ ადგილობრივ დრამატიულ ს-ს და დემოკრატიას დაგმონ ასეთ პირთა მოქმედება. ჩვენ მოუწოდებთ ადგილობრივ სცენის—მოყვარეებს ერთხელ და სამუდამოდ დაგმონ ზოგიერთ „სცენის-მოყვარეთა“ საქციელი, თუ შესძლებენ შექმნან ძლიერი დრამატიული წრე, მაწოდონ ხალხს შინარსიან პიესები და მით თეატრი დაამგზავსონ თეატრს

მაშ მოქმედებისკენ ამხანაგებო!

დროა ბოლო მოეღოს წმინდა ხელოვნების შემბილწველთა საზიზღარ საქციელს.

სპ რტაკი.

დიმიტრი (მიშა) იოსების ძე მელაშვილი

(მოკლე ბიოგრაფია)

წელიწადი შესრულდა 10 ივლისს 1917 წელს, რაც გარდაიცვალა პატარა უჩინარი, მაგრამ მდაბიო ჩაგრულ ხალხში მედგარი მუშაკი და მათი კეთილის მყოფელი დიმიტრი (მიშა) ი. მელაშვილი.

განსვენებული თუმცა არ იყო უმაღლეს სწავლა-განათლიბის „დიპლომით“ აღჭურვილი, მაგრამ თავის საქმიანობით, ხალხისადმი სიყვარულით და ჩაგრულ სამშობლოს ტრფიალით არ ჩამოუვარდებოდა ჩვენს ზოგიერთ გადაგვარებულ „დიპლომიანებს.“

დიმიტრიმ სწავლა მიიღო კუკიის პირველ დაწყებითი (ასათიანის) სასწავლებელში, ხოლო იქიდან გადავიდა თბილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში, მაგრამ რაკი დიმიტრი სუსტი აგებულობისა იყო და ხელობას ვერ აიტანდა, სამსახურში შევიდა 1901 წ. თბილისის პირველ სამოსამრთლო განყოფილებაში. აქედან გადვიდა თბ. სამოსამართლო პალატაში, სადაც სიკვდილის უკანასკნელ წუთამდის მსახურებდა.

განსვენებულს, სხვათაშორის, გატაცებით უყვარდა სამშობლო სცენა და ამ მიზნით პირველად სასცენო მოღვაწეობას შეუდგა 1901 წ. როდესაც ჩვენმა სახალხო მუშაკმა იოსებ იმედაშვილმა შეადგინა ავლაბარში მუდმივი სცენის მოყვარეთა წრე. დიმიტრი ასრულე-

ბდა პატარ-პატარა როლებს მოხდენილად და მუდმივად-კი მოკარნახეობდა, როგორც ავლაბრის, აგრეთვე სხვა სახალხო თეატრის სცენებზედაც, მაგრამ თავის და უნებურად სცენა მალე მიატოვა და გულმოდგინედ შეუდგა ქართველთა ცხოვრების და სამშობლო ისტორიის კარგად შესწავლას. გატაცებით უყვარდა ქართული ლიტერატურა და მის სათაყვანელ მწერლებს შეადგენდნენ: დიდი აკაკი, დიდი ილია, არჩილ ჯორჯაძე, ყაზბეგი, ნინოშვილი და მრავალი სხვები.

უკანასკნელ ხანებში დიმიტრის სატრფიალოს შეადგენდა საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიალური დემოკრატიული ავტონომია და ბევრჯელ უთქვამს:

— ამ ომს უსათუოდ ჩვენი მონობისაგან განთავისუფლება მოჰყვებაო,— მაგრამ არ დასცალდა თვალით ენახა ის, რაც დღეს რუსეთში ხდება.

უყვარდა სოფელი, გლეხობა, ხშირად დაიარებოდა მათში და კორესპონდენციებს ათავსებდა ხოლმე „სახ. ფურც,“ „თემში“ და სხ. დიმ. მ—ლი სახელით.

და, აი, ასეთი ჩუმი მოღვაწე მუშაკი გარდაიცვილა ჯერ ისევ ახალგაზრდა 33 წლისა 1916 წ. 10 ივლისს, ერთი კვირის ავადმყოფობით. განსვენებულს დარჩა ცოლი და ორი მცირე წლოვანი ვაჟი: ირაკლი და ქაიხოსრო.

მეგობარი ზ. ახალკაცი.

უცხოეთში

მისცოცავდა... გაცრეცილი ნისლი საცოდავად მისცოცავდა ლაჟვარდზე შორი მხრისაკენ...

ცახცახ-თრთოლით მისცოცავდა ნისლი და ჰგმინავდა... ჰტრტვინავდა რომ შორს იყო... შორს იყო მხარე აღთქმული ნანატრი..

* *

უცხოეთიდან მოღონღიალებდა მგზავრი ტლუ-მწირი... უცხოეთიდან მშობელ ქვეყნისკენ მიღონღიალებდა ტანჯულ გვემული... ის კი... შორს იყო... ვაგლახ შორს იყო ტკბილი მამული...

* *

ჰკვდებოდა მგზავრი.. ჰკვდებოდა მგზავრი არაქათ-ხშული და ნატვრა სალამს, ცრემლოვან სალამს ნისლით აბარებდა მამულისათვის...

* *

ახ, ვერ აუცხადეს ვერც ეს სურვილი... სვლით მოქანცული და დამაშვრალი სდნებოდა ნისლი... სდნებოდა ნისლი გზა დაკარგული და თავისს ვარამს, უძირო ბოლმას უხმოდ ჰმარხავდა მჭკნარ ფოთლებ შორის.

დ. თურდოსპირელი

ქ. ჩერნოვიცა (ბუკოვინა)

ახალგაზდა მწერალი
რაჟ. გვეტაძე (რომანიშვილი)

ცრემლი შევიშროთ!

ცრემლი შევიშროთ, ვამხნევოთ გული,
ხვედრის ძიებას მივცეთ გონება,
თვით ქრისტემ ბძანა: „ეძიებდეთო,“
და ჩვენც ვეძებდეთ რაც რომ გვერგება...
აი, დადგება ახალი ხანაც,
ხანა სიამის და ხანა შვების
ტანჯვა და ჩაგვრა მივცეთ წარსულსა,
დროშა ავმართოთ თავისუფლების...

გლახუდია გ.

„ფიქრი სანატრი“ და „ფიქრნი შავად მღელვარნი“

(ის. „თ. და“ № 28]

დექსში „სუმბუდი და მწირი“ გამოხატული აქვს პოეტს სამშობლოს პოლიტიკური მდგომარეობა, ფერ მიხდილი და სულ მიდებული სუმბუდი, დახშული ბნელსა სიდგურს სვდიასსა სამშობლოა მწირი თვით პოეტია, ობოლი და მიუსაფარი. აკვლევს რა ბარათაშვილი მიზეზებს სამშობლოს ტუსაობისას კალთაში, უნებლიეთ ადის ფიქრით ირაკლის მიერ ქართლის ბედის გადაწყვეტამდე, რომელი გადაწყვეტილებითაც საქართველო მიეცა სრულს და ბნელს სვდიასს სიდგურსა. სოლომონ მსაჯულისა და მის მეუღლის სოფიოს სიტყვებით გამოსთქვამს პოეტი თვის გულის ნადებს ამ გადაწყვეტილების შესახებ. ეს იყო პოეტის მოდგაწეობის ბირველი სანის შეხედულობა. შემდეგ პოეტი ურიგდება სამშობლოს ბედს და კიდეც ამართლებს ირაკლის. დექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ პოეტი მუხლს იდრეკს წინაშე მეფის საფლავისა, და თაყვანს სცემს მის „ნანადერძევს წინასწარ თქმულსა“.

„და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შვილნი შენნი.

ყამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო,

მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო.

სადაც აქამდინ ხლმით და ძალით ჰფლობდა ქართველი,

მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“.

რომ ბარათაშვილი შეურიგდა სამშობლოს ბედს იქიდგანაც სჩანს, რომ ერთ თვის წერილში სწერს: „ეხლა ჩემი თავი ხელმწიფესა და საზოგადოებას შევსწირეო“. ამასვე ადასტურებს მისი დექსი „ომი საქართველოს თავდასხნაურ კლეხთა პირისპირ დადისტნისა და ბეგენთა,“ სადაც სხვათა შორის, სწერია:

„ძმანო ჰქმენით საქმენი ღირსნი თქვენთა წინაპართა,

იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამარეთ წარმართთა,

აჩრდილნი თქვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა

და გვიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა.“

ამით, რასაკვირველია, მე ამის თქმა არ მსურს, რომ პოეტს სრულებით გაუგრიდა გული ქართლის ბედზედ. ეს შეუძლებელი იყო. სამშობლოს უბედური ბედი დაუშრეტელი სათაგე იყო პოეტის ურვა-სევდისა. ამით მხოლოთ ის მინდა გითქვა, რომ პოეტის ტანჯვის უდიდესი ტოტი სხვა დასაწყისიდგან მოდიოდა. ამ აზრს სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ დექსი, „სუმბუდი და მწირი“, პოეტი სამშობლოს (სუმბუდის) კარეშე სხვა ყვავილს კანიგულებს, და ეახოგება რა სამშობლოს, ასეთ სიტყვებს ეუბნება:

„მშვიდობით წიავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა,

ისიც შენსავით განაშორეს სამშობლოველსა.

ვაი თუ მასაც უდროვოთ ავნოს უწყალო ხელი,

და არღა მომხვდეს სუნი მისი ჭირთ-უკუმყრელი“

ამ უწყალო ხელს, და ყვავილს შემდეგ გნახავთ. ეს ხედი ბოროტი სულია, ხოლო ყვავილი მისტიკური გრძნობა, მეტაფიზიკური სწრაფვა. ეს ის ყვავილია, რომლის სუნით და ფეროვნებითაც სტოტხლობდა ქართველი ერი და რომლის დაჭკნობის შემდეგაც პოეტის სამშობლომ დაჭკარგა თვისი ჭეშმარიტი ღირებულება — მგოსნის თვალში, რისა გამოც მოაკლდ მერანს და გარდიხვეწა მისგან. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

დიმ. დეკანოზიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

იოჰან. კეტე, ამ საათში მე არ შემიძლიან...

ფრ. კეტ. მაშ როდის მოვიდე? მე ხომ არ შემიძლიან, როდესაც ფრ. ანნა..

იოჰან. კიდევ! რა წვრილმანურათ სჯი!., არის ხოლმე იმისთანა საგანი... ფულის საქმეში რა საჭიროა მუდამ სულელური კეკემალულობა. ეს ისეთი, იწრო არვიცი, როგორ გამოვთქვა. ამას ისეთი სულმდაბლობის ფერი აძევს... ეჰ!..

ფრ. კეტ. ფრეილენთან ამაზე რომ დამეწყო ლაპარაკი, მაშინ მგონია სულ სხვას იტყოდი.

იოჰან. სულ ფრეილინი და ფრეილინი შენ ფრეილინ ანნას თავი დაანებე: ის ჩვენ სრულებით არაფერს გვიშლის..

ფრ. კეტ. მე ხომ იმას არ ვამბობ როგვიშლის მეთქი. მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი ლაპარაკი მისთვის საინტერესო იყოს.

იოჰან ოხ კეტე, კეტე, შენ ხელში კაცი შესაბრალისია... სულ ფული და ფული!.. ასე გონია მართლა, ხვალ შიმშილით, ვიხოცებოდეთ...ეს საშინელებაა!.. კაცს აფიქრებიებ, რომ შენი გულიცა და თავიც ფულით არის გატენილი. მოდი შენა და შეჰქმენი ქალის იდეალი... ამისთანა პირობაში რაღა შეიძლება, რომ კაცმა თქვენში შეიყვაროს?.

ფრ. კეტ. მე ჩემი დარდი კი არ მაქვს. პატარა ფილიპეს რა ეშველება? შენ თვითონ ამბობ რომ ვერაფერს მოვინაგრებო... ცოტა მაინც უნდა გადავარჩინოთ ყმაწვილისათვის

ოჰან. რასაკვირველია!. ყველაფერში გეტყობა, რომ შენ მხოლოდ ოჯახზე ჰფიქრობ, მეკი საზოგადო ინტერესები მაღელვებს. მე ვგრძნობ რო ოჯახისთვის ცუდი მამა ვარ. ყველაზე მეტად იმაზე ვიფიქრო რომ შესაფერად გამოთქვა, რაც გულსა და გონებაში მაქვს სწორე. გითხრა, ხანდისხან ჩემ თავს დატყვევებულ მერანს ვადარებ... ამისთანა პირობებში მე დაღუპვა არ ამცდება..

ფოკ. ქეტ. იოანეს, მაგისთანებს ნუ მეტყვი ხოლმე. მეშინიან..

იოჰან. ფრეილინ ანნა მართალია: სამზარეულო და საბავშო ოთახი—აი თქვენი ჰორიზონტი უკეთეს შემთხვევაში.. ამის გარეშე ნემეცის დედაკაცისათვის არა არსებობსრა.

ფრ. კეტ. ხო ვინმე უნდა მოამზადოს საჭმელი და ბავშსაც ძიძობა გაუწიოს. ფრეილინა კარგად ამბობს!.. მეც დიდი სიამოვნებით ვიკითხავდი წიგნებს...

იოჰან. კეტე, მაგრე თავს რად იმცირებ, რათ ამბობ მაგას ფრეილინ ანნაზე, რომელიც იმ სიმაღლეზე სდგას....

ფრ. კეტ. მაშ ის რაღათ ამბობს?

იოჰან. რას ამბობს?

ფრ. კეტ. ნემეცის ქალებზე... მაგისთანა სისულელეს.

იოჰან. ის, რაც მან ილაპარაკა, სრულებითაც სისულელე არ არის, პირიქით, ამ წამში არ მესიამოვნება გადმოგცე ყველა ის, რაც პირადათ შენზე ილაპარაკა... მე არ ინდა მეტის მეტათ შეგარცხვინო...

ფრ. კეტ. ჩვენს ვიწრო ჰორიზონტზე მაინც ხომ ილაპარაკა!?..

იოჰან. დაამტკიცე რო სცდება!..

ფრ. კეტ. (ცრემლ მორეული, გაცხარებით) არა, ჰანეს,... თუმცა ძალიან კეთილი ხარ, მაგრამ ხანდისხან.., ხანდისხან.. ასეთ ცივი... ისეთი მკაცრი.., ასეთი უგულო ხარ...

იოჰან. (ცოტა დამშვიდებით) აი მე ისევ უგულო გავხდი! რათა კეტე?

ფრ. კეტ. (ტირილით) იმიტომ რომ შენ მე მტანჯავ... შენ ძალიან კარგად იცი.

იოჰან. რა ვიცი, კეტე?

ფრ. კეტ. შენ იცი, რომ მე ჩემი თავით მუდამ უკმაყოფილო ვარ.. ეს ძალიან კარგად იცი.. მაგრამ.. შენ ერთი ბეწო შებრალება არა გაქვს. ყველაფერი უნდა წამომაყვედრო ხოლმე...

იოჰან. როგორ. როდის კეტე?

ფრ. კეტ. იმის მაგივრად, რომ ხანდისხან მაინც ტკბილად მომექცე, საკუთარი ძალლონის იმედი გამიმტკიცო... არა, პირიქით. შენ მუდამ მამცირებ. თავს მიჭეჭყავ.. ღმერთია მოწამ, რომ ჩემი ჰორიზონტის სივრცის შესახებ არავითარ ილიუზიებს არ ვეძლევი.. მაგრამ სრულებით უგრძნობელი ადამიანი კი არა ვარ. მართლაც რო ვთქვათ და, რომელი მნათობი მე ვარ... დიდი ხანია ვამჩნევ, რომ სულ მეტი ვარ აქ...

იოჰან. (უნდა კეტეს ხელი წაავლოს, მაგრამ ის ხელს არ ანებებს.) მეტი ხარ მეთქი,— მე არასოდეს არ მითქვამს.

ფრ. კეტ. ეს კი იყო სთქვი; მაგრამ სულ ერთია, შენც რო არ გეთქვა, მე თვითონა ვგრძნობ ამას... შენთვის არავითარი მნიშვნელობა არა მაქვს, იმიტომ რო შენი მუშაობისა არაფერი გამეგება. ყმაწვილს რა უყო? ქმევა უნდა, სუფთად შენახვა... მაგრამ ამისი ვაკეთება ხომ მოსამსახურე ქალსაც შეეძლო?.. მერე ლა? მერე რა ვიქნები იმისთვის? არაფერი (ძალზე ტირის) შემდეგ მისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ რომ ფრეილინ ანნა მოვლა-პატრონობას...

იოჰან. რას ამბობ, ძვირფასო კეტე?!

ფრ. კეტ. მე ისე მაგალითად ვამბობ. ხომ მართალი ვარ? იმას ბევრი უსწავლია, ბევრი ესმის. ჩვენ კი, ჩვენ ნამდვილი მახინჯები ვართ. როგორც შეგვიძლიან მხარი დაუჭიროთ ვისმე, როდესაც ჩვენ თვითონ...

იოჰან. (სიუგვარულით აღგსილსა და აღტაცებულს სურს კეტეს მოეხვიოს) კეტე, ძვირფასო, ჩემო ძვირფასო! შენ გული ასეთი გაქვს, როგორ... საკვირველი ღრმა გული როგორც ძველებურ ზღაპრებშია ხოლმე მოთხრობილი.. ოჰ, ჩემო ტკბილო, ძვირფასო არსებავ (კეტე იშორებს, იოჰანეს ნაწყვეტ ნაწყვეტათ ლაპარაკობს, ენა ებმევა) უბედური კაცი ვიქნებოდი მე რომ... მე საძაგელი ხეპრე, გაუთლელი კაცი ვარ! მე შენი ღირსი არა ვარ, კეტე!.

ფრ. კეტ. ახ, არა, არა.. ჰანეს, ეხლა შენ მაგას ისე ამბობ, რაღა...

იოჰან. კეტე, გარწმუნებ, არა! საძაგელი, საზიზღარი ვიქნებოდი, თუ რომ.

ფრ. კეტ. თავი დამანებე, ჰანეს.. უნდა მოვიფიქრო ის წერილი..

იოჰან. რა სულელი ხარ! რა გაქვს მოსაფიქრებელი?

ფრ. კეტ. დამეხსენ, დამეხსენ თავბრუ მესხმის.

იოჰან. (გაცხარებით) ეჰ, თავი დაანებე მაგ წერილს, ჩემო საყვარელო მეუღლე..

ფრ. კეტ. არა, არა ჰანეს, დამეხსენ. (იშორებს)

იოჰან. ოჰ, კეტე, რა ხარ მართლა!

ფრ. კეტ. ჰანეს, ყური დამიგდე ერთი.. დახედე ამ წერილს. (თვალებში აჩეჩებს) ის კაცი კითხულობს გაყიდოს თუ არა?.

იოჰან. რა გაყიდოს?

ფრ. კეტ. აქციები გაყიდონ თუ არა?

იოჰან. განა მაგისი სარგებელი არ მეყოფის?

ფრ. კეტ. რას ამბობ? ამ თვეში ათას არკამდის დავხარჯეთ.

იოჰან. კეტე, ეს სწორედ შეუძლებელია ქალო, იქნება ფულებს არ უფრთხილდები

ფრ. კეტ. ყველაფერი ჩაწერილი მაქვს, კაპიტალი თანდათან ილევა, აბა რა ვქნათ, გავყიდოთ?

იოჰან. მაშ რას ვიზამთ! მხოლოდ მოიმითმინე. საზოგადოთ ყველა ეს წვრილმანია და მნიშვნელობა არა აქვს! საით?

ფრ. კეტ. პასუხი უნდა დავსწერო.

იოჰან. კეტე!

ფრ. კეტ. (კარებში ნადგომი მობრუნდება) რაო!

იოჰან. ნუ თუ ასე წახვალ?

ფრ. კეტ. მაშ რა?

იოჰან. არც მე ვიცი რა.

ფრ. კეტ. მაშ რა გინდა?

იოჰან. კეტე, არ მესმის, სწორედ, რა დაგემართა?

ფრ. კეტ. არაფერი ჰანეს, სწორედ რომ არაფერი.

იოჰან. აღარ გიყვარვარ?

ფრ. კეტ. (ჯერ დაბლა ხრის თავს და შემდეგ აქნევს უარის ნიშნად.) (ეხვევა) მახსოვს ჩვენი თავანდელი პირობა: ერთმანეთს ნურას დაუმალავთო! სულ მცირედ საიდუმლოებასაც კი (ძალზე ეხვევა) მითხარი რამე! არ შეგძულდი, კეტე?

ფრ. კეტ. ახ ჰანს, შენ ხომ იცი...

იოჰან. მაშ რა დაგემართა?

ფრ. კეტ. შენ იცი.

იოჰან. თქვი რაღა? არაფერი არ ვიცი და ვერც წარმომიდგენია.

ფრ. კეტ მე მინდოდა შენთვის რამე ვყოფილიყავ.

იოჰან. კიდევაცა ხარ. შენ ჩემთვის თითქმის ყველაფერი ხარ.

ფრ. კეტ. არა, არა!

იოჰან. ამიხსენი, გეთაყვა მაინც.

ფრ კეტ. შენი არ არის ჰანეს. მაგრამ! მე შენ ვერ გაკმაყოფილებ.

ოიჰან. ტყუილია, ტყუილია! მე შენ სავსებით მაკმაყოფილებ.

ფრ. კეტ. ეხლა შენ ისე ამბობ, რალა...

იოჰან. ეს ჩემი გულწრფელი აზრია.

ფრ. კეტ. დიახ, ამ წამში.

იოჰან. საიდან გამოგყავს, რომ...

ფრ. კეტ. მე ძალიან კარგათ ვიცი.

იოჰან. კეტე, რა საბაბი მომიცია.

ფრ. კეტ. არას დროს, არაფერი.

იოჰან. ხომ ხედავ! (გაშმაგებით ეხვევა) ყველა ეგ მხოლოდ წარმოდგენაა. დიახ, დიახ, აბნეული ფანტაზიის ნაყოფი. განდევნე მაგისთანა აზრები! აბა კმარა. კმარა! (მხურვალედ ჭკოტნის).

ფრ. კეტ. ახ, ნეტავა მართლა ფანტაზია იყოს.

იოჰან. მერწმუნე რომ მაგრეა.

ფრ. კეტ. მე ხომ შენ ისე საშინლად, ისე ძალზე მიყვარხარ ჰანეს.. გამოთქმაც კი არ შემიძლიან რა ნაირად მიყვარხარ.. პატარა ფილიპეს უფრო დავთმობ. დიახ, დიახ..

იოჰან. კეტე!

ფრ. კეტ. ღმერთო მაპატიე! ჩემო საყვა. რელო შვილო, ძვირფასო ბიჭიკო (იოჰანეს კისერზე ეხვევა) ძვირფასო, საყვარელო, (ერთმანეთს მხურვალედ ჭკოტნიან სასეირნოდ გამზადებული ფრ. ანნა შუშაბანდის კარებს ადებს თავს შემოეფეთქს და ეძახის) მზათა ხართ, ექი მო? ახ, უკაცრაოდ! (გატრიალდება)

იოჰან. ამ საათში, ამ საათში ფრეილინ (იდებს ხელთნაწერს) ჩვენ ნავით ვაპირებთ სეირნობას. გესმის, აღარაფერი ისულელო პიროზას მაძლევ? (გამოსამშვიდობებელს ჭკოტნის შლიაპას იდებს და მიტრიალდება წარსასვლელად) კეტე, არ გინდა ჩვენთან წამოსვლა?

ფრ. კეტ. ბავშვს თავს ვერ დავანებებ.

იოჰან. აბა, მაშ ნახვამდის! (გადის

ფრ. კეტ. (გაშტერებული უყურებს, ასე გონია თვალითგან საკვირველი სანახაობა დაჭკარგა თვალები ცრემლებით ეგსება).

მოქმედება მესამე.

(დიდა, თითქმის ათი საათია. სტოლზე ისევ ანთია დამბა ფრ. კეტე ჩაფიქრებული რაღაცას ანგარიშობს. შუშაბანდში ვიღაც ფეხსაცმელებს იწმენდს კეტე ადგებული წამოდგება სკამიდან ვიღაცას ელოდება. შემოდის ბრაუნი)

ფრ. კეტ. (მიეგებება) ოხ, თქვენა ხართ? რა კარგათ ჰქენით რო მოხვედით!..

ბრაუნ. დილა მშვიდობისათ! რა საშინელი ნისლია.

ფრ. კეტ. გათენებას ღიარ აპირებს! აქეთ მოდით ფეჩთან აქ თბილა. გადმოგცათ ფრაუ ლუმანმა

ბრაუნ. დიახ, იყო ჩემთან.

ფრ. კეტ. (ამ წამიდან ჩვეულებრივ სიმ უვიდესა ჭკარგვ-ლელვს, ცხარობს. ოვალებენთება პირსახეზე ნაზი სიწითლე მოსდის) მოითმინეთ, მე ჩამოგიღებთ სიგარას!

ბრაუნ. ნუ სწუხდებით, გეთაყვა! (ასწორებს კეტეს, მიდის შაფთან და იღებს იქიდან ამ ციგარებით სავსე კოლოფს, რომლის ჩამოღებასაც კეტე აპირებდა).

ფრ. კეტ. არა, არა მე მინდა, რომ არ შესწუხდეთ.

ბრაუნ. (კეტეს შესტქერის) მე სრულიად ბით არ მინდა ციგარის მოწევა.

ფრ. კეტ. გეთაყვა მიირთვით.. ამით მე დიდათ მასიამოვნებთ: ბოლის სუნი ძალიან მიყვარს.

ბრაუნ. მაშ თუ აგრეა... (ანთებს სიგარას)

ფრ. კეტ. ცერემონიები სრულებით საჭირო არ არის. ისევ ისე მოიქეცით, როგორც კვლავ.. გამოტყდით რომ კარგი კაცი არა ხართ..—მთელი კვირა რატო ასად გამოსჩნდით?.

ბრაუნ. მე ვფიქრობდი რომ ჰანსისათვის საჭირო აღარ ვარ..

ფრ. კეტ. როგორ შეგიძლიან თქვენ ასე..

ბრაუნ. ფრეილინ ანნა მარის გარდა, მას აღარავისთვის სცალიან.

ფრ. კეტ. არ, არა! სრულებითაც არა?

ბრაუნ. ფრეილინ ანნას მაგისი დახმარების იმედი ხომ არა აქვს?

ფრ. კეტ- არ, არ, არა! რას ამბობთ? როგო მოგვიდათ მაგისთანა აზრი... ჩემგან მეტს ვერაფერს ვერ გაიგიბთ, ვერც ერთი სიტყვას...

ფრ. კეტ. მაგას რა საბუთით ამბობთ?

ბაუნ. ის რომ მეგობრების ლაპარაკს სრულებით ყურადღებას არ აქცევს.

ორ კეტ. მაგრამ თქვენ რომ იცით როგორი ფიცხი. აპილპილებულია. იოჰანეს სრულებით არ მუვა იმისთანა რამეზე სერიოზულათ ილაპარაკოს

ბრაუნ. პირიქით მეძალიან კარგათ ვიცი ამ მხრივ მაზე ვინ მოქმედობს... საზოგადოთ კი უნდა ვთქვა: იქნება მაარი ჭკვიანი ქალიც არის, მაგრამ იქ, სადაც საქმე შეეხება იმის ინტერესებს და განზრახვებო, იგი ეგოისტურდ იქცევა, დაუნდობლად.. და მალე უკანაც არ დაიხევს თუ ერთი ხელი სტაცა. ჩემი კი ეშინიან. იმან ძალიან კარგად იცის, რო ვერას დამტყუებს..

ფრ. კეტ. სწორე მოგახსენოთ მე ეგ არასოდეს არ შემინიშნავს..

ფრაუნ. მე არავის არ ვეტმასნები ხოლმე... ჰაენეს თხოვნით ქალაქიდან გადმოვსახლდი და თუ იმისათვის საჭირო აღარ ვარ, შემიძლიან ისევ დავბრუნდე ქალაქში...

ფრ. კეტ. (სწრაფად და მკაფიოდ) ანდა ღღეს მიდის.

ბრაუნ. მართლა? მაშ მიდის?

ფრ. კეტ. დიახ და ამიტომაც მინდოდა თქვენთვის მეთხოვნა ბატ, ბაუნ, მე მინდოდა მეთხოვნა... საშინელება იქნება, თუ ჰანესი უცბათ სრულებით მარტო დარჩება. მალ-მალ უნდა გვინახულოთ ხოლმე, ბატ. ბრაუნ. ნუ სჯავრობთ იოჰანეზე, ე. ი. ამ რამდეიმე ღღის წინეთ მისგან ჩადენილ. სასულელიო გამო, ჩვენ ხომ ვიცნობთ იმ კმცს, ვიცით რი კეთილი რამაა.

ბრაუნ. მე კაცისაგან ადვილათ არ მეწყინება, არა, მაგრამ მაინც და მაინუ..

ფრ. კეტ. ჰოო, ძალიან კმრგი! მაშ დარყით ჩვენთან მთელი ღღით!

ბრაუნ. მე შემიძლიან წავიდე სახში და ისევ დავბრუნდე..

ფრ. კეტ. კარგი. მაგრამ ამ პირობით კი, რომ იმ ქალის წასვლის დროს აქ იყვნეთ, თქვენ ნახავთ, რომ ყველაფერი ისევ თავის დონეზე დადგება... ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე... ზამთარს მშეენივრად, ტკბილათ გავატარებთ... ერთი კიდევ ეს—მინდოდა თქვენთვის მეკითხა (ხუმრობით)... ფული უნდა მოვინაგრო... მე მართლა გეუბვებით-განა ჩვენ, ქალებს კი არ შეგვიძლიან შრომა?

ბრაუნ. ეგ რა ჭკუაში მოგვიდათ?

ფრ. კეტ. ისე, სასიამოვნოთ დროს გასატარებლალ.

ბრაუნ. მაგიხი თქმა უფრო ადვილია, ვიდრე ქმნა..

ფრ. კეტ. მე შემიძლიან, მაგალითად, ფარფურზე ხატვი. აი ეს სერვიზი სულ ჩემი დახატულია. თუ ეს არ ივარგებს, მაშინ შემიძლიან ჩიგინით კერვა დავიწყო, იცით, მინდა თეთრეულზე ნიშნების ამოქარგვას მივყო ხელი.

ბრაუნ. თქვენ მაგას ხუმრობთ რა საკვირველია?!.

ფრ. კეტ. ვინ იცის!..

ბრაუნ. ამიხსენით, თორემ, სწორე მოგაგსენოთ არა მესმის რა...

ფრ. კეტ. (მოთბინება ეკარგება) თქვენ შეგიძლიანთ გაჩუმდეთ? არ!. მაშ მოკლედ გეტყვით. კაცს ხანდისხან იმის. რასმეს მოსთხოვენ ხოლმე, რომლის შესრულებაც მას არ შეუძლიან.. არც ერთმა ჩვენგანმა ხეირიანს ანგარიში არ იცის... ჩვენი ბუნება სხვანაირია...

ბრაუნ. მით უმეტეს ჰანერს.

ფრ. კეტ არა, არა. რას ამბობ!.. მე მინდოდა მეთქვა... მაგრამ ამას ყურადღება არც კი უნდა მიქცეს. კაცმა იმაზე უნდა იზრუნოს რომ ყველაფერი ეაკმარისათა ჰქონდეს.

ბრაუნ. თქვენი მონაგრების ასეთი დიდი იმედი გაქვთ... ტყუილი იმედი კია.

ფრ კეტ. ჩემი შრომით წელიწადში ოთხას მარკას მე ადვილად შევიძენ.

ბრაუნ. ოთახს? რაღა სწორედ ოთხი უნდა ყოს? არ მგონია..

ფრ. კეტ. დიახ, მე სწორედ ამდენი ჭეირია.

ბრაუნ. ჰანესის განუსაზღვრელი გულკეთილობა კიდევ რომ ბოროტად არავინ მოიხმარა?

მ. კავსაძის გუნდი გლეხურად

ერთობა

სიმღერა

ღმერთო, ერთობა მოგვეცი ქართლ-კახეთისა შვილებსო,
იმერლებს, გურულ-მეგრელებს საყვარელთ, ზრდილებს, მკვირცხლებსო,
თუშ-ფშავ-ხევსურებს, აჭარლებს, ერთის რძით გამოზრდილებსო,
აფხაზ-სვანებსა ჩვენს ღვიძლ ძმებს დროგამით დაჩრდილულებსო,
ერთობა გაგვაძლიერებს, ბევრ ტანჯვა გამოცდილებსო.
ხომ გრძნობთ სუყველა ჩვენ გვჩაგრავს, ჩვენზედ ილესენ კბილებსო.
დაცალკევებულთ რომ გვხედენ მით ყველა გვიმორჩილებსო,
ერთობის ძალა დიდია, ფოლადსაც გაარბილებსო.
მაშ ისევ-ისევ ერთობა, ტანჯვას ის აგვაცილებსო!

გარდენ ეიფეანი (ღვანკითელი).

მებრძოლი ქალი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ცხ“. № 29).

III

სწორეთ ამავ დროს აქ დედამიწას,
როს მზე უთბობს გულს, მზე დამამშვენი,
იქ ურთიერთის ამოსაჟლეტად
ამხედრებულან ადამის ძენი.

—

კოხტა მსუბუქმა ჰაეროპლანმა
ჰაერში მარდად შეისრიალა,
მძლავრი ყუმბარა გადმოისროლა
და არე-მარე გაატიალა.

—

გამხეცებულან. ვერავინ ხედავს
თავისი ხელით უხვად სისხლს ნაქცევს
ყუმბარის ძალა ლამაზ ტყის ხეებს
ძირ-ფესვიანად იღებს და აქცევს.

—

მტვერისა და წამლის კორიანტელში
ჭქრება ბუნების წმინდა ტაძარი,
ირგვლივ იარაღსა გააქვს ელარუნი,
ისმის გოდება გულ-შესაზარი!

—

ეგერ შრაპნელი შრაპნელსა მოსდევს,
სკდება, ვარდება ვითარცა მეხი,
იქ ერთსა მებრძოლს ხელს გაუარა,
აგერ მეორეს მოსტეხა ფეხი.

—

დაძრწის, დაფრინავს პაწია ტყვია,
გასჭრა ფოლადი, გააპო რკინა,
ახალგაზრდა ვაჟს შიგ გულში მოხვდა,
სიტყვის უთქმელად ძირს გააწვინა.

—

სუყველა იბრძვის უშიშრად, მედგრად,
სუყველა გმირად გადაქცეულა,
თუ ორი სამი არ მოინელა,
ისე არც ერთი არ წაქცეულა.

—

მამაც მებრძოლ რაზმს კაცი მიუძღვის.
უფროსი არის, ეტყობა მხარზე,
გმირულ სიტყვებით ჯარსა ამხნევებს
და სისხლიც ლაჟად უცხია ხმალზე.

—

უცბად შეჩერდა, ნასროლმა ტყვიამ
მარჯვენა ხელზე მოსტეხა ცერი,
იმ წუთს ზურგიდან მას მიეპარა
მტრების რაზმიდან მტრის ოფიცერი.

—

ჰა, ხმლის წვერი იმის თავს სწვდება,
ჰა, სადაც არის მოუღებს ბოლოს,
ამ დროს ვიღაცამ მკაცრად დასძახა:
—ვინც გაიმარჯვებს—მიხვდება ბოლოს.

—

„ჩუმად მიპარვით, მტრისა დაძლევას
იკადრებს მხოლოდ მხდალი, ლაჩარი,
სხვას უმზადებდი ასეთსა ხვედრსა,
და ჰა, მიიღე, თუ კარგი არი“.

—

აი ამ სიტყვით ამართულ ხელზე
შემოჰკრა ხმალი, დაიკრა მტერი.
ძირს ჩამოვარდა და შეჰყურებდა
ნაზ, სუსტ ჯარის კაცს ვითარცა შტერი,

—

რომელმაც მარდად მას მიაშურა,
ავსილი ქონდა ცრემლებით თვალი,
მოკრეპილი თმა შუბლს ზევით სცემდა
და უხდებოდა ლოყაზე ხალი.

—

—„დამარცხდი განა? აი ახლა-კი
მსურს გესალბუნო, ვით მეგობარი!!“
წყლული მობანა, ფრთხილად შეუკრა
და გაუსწორა ნაღრძობი მხარი.

—

ჯარის უფროსმაც არ დაუშალა,
სახეზე ღიმმა გადაურბინა.
„ვინმემ რომ მოკლას!!“ აი ეს აზრი
სულში ჩაუძვრა, გულზე უკბინა.

—

ხელით ანიშნა: „ახლოს მოდიო,“
გზასა იკაფავს, კაცს კაცს ახალებს,
თოფის წამალი, მტვერი და კვამლი
სახეშია სცემს, უწითლებს თვალებს.

—

თოფის ხმა, კვნესა, წყევლა, ვედრება,
ჯოჯოხეთურათ აქ აირია,
მანქანებმაც კი ხალხსა მიბაძა,
ხმასა უმატა, გადაირია.

—

ზოგი მებრძოლი უსიტყვოდ კვდება,
ზოგი-კი „დედას“ ამოიძახებს,
შრაპნელი შრაპნელს მოსდევს და სკდება,
ტყვიის მფრქვეველიც ჰქრის და რახრახებს.

—

ზარბაზანმა კვლავ პირი დაალო,
ზუზუნ-ღრიალით გამოისროლა,
ცამ დაიფარა ღრუბლის მანდილი
და ქვემძრომებმა დაიწყეს ძრწოლა.

—

ჰა, მიაღწიეს აღთქმულ ადგილზედ,
სისხლის ღვარი სდგას, აღარ სჩანს მტვერი,
კვლავ შეიძინეს ახალი მიწა,
კვლავ გაიფანტა, იძლია მტერი!

—

გათავდა ბრძოლა, დაჭრილნი გაყავთ,
მკვდრებისათვის კი საფლავსა სთხრიან,
რას გაიგებენ დახოცილები
ერთს მეორეზე აწყობენ, ყრიან.

—

უფროსი იქვე თავის რაზმსა სთვლის
უცბათ გაფითრდა, არ არის „ოგი“
ენა დაება, ცრემლი მოადგა,
და დაავიწყდა წესი და რიგი.

—

—„ოჰ, თუ მომიკლეს, ძვირად დაუსვამ,
არ ვაკმარებ მათ რაც სისხლი ვღვარე,
მე უბედურმა რისთვის მივიღე,
და თუ მივიღე, რად არ დავფარე?!“

—

დაღლილობისგან ძლივს ღა სდგას ფეხზე,
ბარბაცით მაინც წავიდა წინა,
ფიქროშს: „ოჰ, მკვდარსა მაინც ვნახავდე,
რომ მასთან ერთად მეც ვპოვო ბინა!“

—

უცბათ შეჩერდა, მახლობელ გზიდან
ნელის ნაბიჯით მოდის მხედარი,
ცხენს წინ მოუძღვის ნაზი სალდათი,
მხედარს კი მოსდის სისხლისა ღვარი.

—

იცნა და მმოსწყდა თვის ადგილიდანა,
უნდა წინამძღოლს აკოცოს ხელზე
მან კი დაასწრო: „მე სალდათი ვარ,
და არა ქალი ბრძოლისა ველზე.“

—

| ოჰ, რას დავეძებ? მე მიხარიან,
რომ შენ კვლავ გხედავ, არა ხარ მკვდარი,
ეს სად იპოვნე (ცხენზე ანიშნა),
პაწია გმირო, აბა მითხარი?

—

—„როს ჩვენმა ჯარმა მტერი დასძლია,
იმათმა რაზმმაც ველი დასტოვა,
ეგეც აღელდა, მათ დაედევნა
და ჩვენ კი სულ მთლათ უკან დაგვტოვა.

—

მარცხნივ და მარჯვნივ, აღელვებული,
როგორ მუსრავდა მტერსა, ვხედავდი,
რომ დამეძახნა ვერ შევასმენდი
და გახედვასაც ვეღარ ვბედავდი.

—

ამ დროს ვიღაცამ ხმალი შემოჰკრა,
ვერ შეიმაგრა თავი, დაეცა,
შემდეგ ფეხებით დაუწყეს თელვა,
მის დამნახავსა ელდა დამეცა.

—

მე თვით არ მახსოვს ვით გავჩნდი მასთან,
ხელი შევახე, წამოვაყენე,
გულზე მოსული ძლივს შევსვი ცხენზე,
და ჩვენ რაზმისკენ გამოვაჭენე.

—

კიჟინა დასცეს, თოფი დასცალეს,
მეც ერთმა ტყვიამ მკლავს გამიარა,
უწინ ვერც ვიგრძნე, მაგრამ ეხლა კი
საშინლად მეწვის, მტკივა იარა.“

—

ეს სთქვა და იქვე მან ჩაიკეცა,
ივრძნო უეცრად მწვავი ტკივილი,
მის ბაგეს ერთიც არ მოსწყდა კვნესა,
არ გააგონა არვის ჩივილი.

—

დასწვდა მას ვაჟი ნაზ მზრუნველობით,
წამალი დასცხო, შეუკრა წყლული,
გულზე მიიყრდნო, ვით უსუსური,
არ შურდა მისთვის მიეცა სული.

—

დედის ნაჩუქარ ხატსა დახედა,
ემთხვია იმას რწმენით, მადლობით,
ქალის შეკრეჭილ ლამაზ ქერა თმებს
მიუალერსა, აკოცა გრძნობით,

—

სიკვდილის შიში მას არ აკრთობდა,
თვის სარტფოს ახლოს გულით სტკბებოდა,
და მომავალიც ბნელით მოცული
იმ წუთს ვარდის ფრად ეჩვენებოდა..

—

საფო მგელაძე

(დასასრული იქნება)

ჭრელი კოკარდები

და ჩემი ამხანაგის გულწრფელი აღსარება.

—„ჯერ კიდო პატარა ვიყავი, დაიწყო მან: როდესაც შემიყვარდა მე ეს ბრჭყვიალა, ბნელ ღამეში სხივის მომფენი ნიშნები. მწყურდა სწავლა მათთვის, მათგან მოველოდი სახელს, დიდებას, გადიდკაცებას. აბა სხვა რა შემაყვარებდა საათობით გაბმულ გაუგებარ, თავბედ მომაბეზრებელ სლოვიანურ ტექსტების ზეპირებას თუ არა ეს, ეს გულის გამანეძლებელი და წამქეზებელი იმედი. ჩემო კოკარდებო! მე რომ თქვენი ძალა გამახსენდება, ახლაც ამ აღსარების დროს და საქმენი თქვენი, საგმირონი... დიდება თქვენს ძლიერებას, პირჯვრის წერას ვიწყებ და თაყვანსა გცემთ მოწიწებით. მე არ მომწონდა ზოგი ჩვენი მასწავლებელი და განსაკუთრებით კი ქართული ენისა, რომელიც სულ ერთთავათ ამათ გინებაში იყო და თითქოს განგებ გამოსაჯავრებლათ ჩამოეფხატა თავზე ჭილის ქუდი და წარმოიდგინეთ—ესე ულაზათოდ დაიარებოდა სასწავლებელში. რა რიგ ამიღრინდებოდა გული, როდესაც გვეტყოდა, კაცი ადამიანობას უნდა ემსახურებოდეს და არა ჩინ-ტემლაკებსაო. რას მომატყუებდა! ის რო კარგი კაცი ყოფილიყო, ჩვენი სასწავლებლის უფროსისავით ექმნებოდა თავი მოვარაყებული. ისე კი კარგი იყო ის ცხონებული: წიგნს რომ დაკეცდა და მოგვითხრობდა, ხახა გამშრალი შევჩერებოდით შიგ თვალის კაკლებში და მხოლოთ ზარის რეკვაზედ ახმაურებელი ბავშვები გვარკვევდა ამ ნიტარი სიზმრებიდან.

189—წლის ენკენისთვის პირველი რიცხვები იყო, რომ ვიზეპირებდი სლოვიანურ ბრუნვას„ ბიახოვა, ბეხოვა, ბიასტა, ბესტეა«..

რომ გვეწვია ერთი წლით ადრე ჩვენ სასწავლებელში კურს დამთავრებული, უკვე გამასწავლებული, ჩვენთან ერთ ბინაზე მცხოვრები—შვენიერაძე. მართლა რომ შვენიერი სანახავი იყო ის სიყრმე მკვდარი. კოხტა „კასტიუმში“ გამოწყობილი, ფეხებ ჩაპოლსაპოშკიანებული, გულ-ყელ მოღერებული მისი გაშვებული ჩახუხუჭებული თმა ფაფარ გაშლილ არაბულ ცხენს მოგაგონებდათ, რომელსაც თავს უმშვენებდა სამი წითელი ზოლით შემოგრიგალებული ახალი ქუდი; ახალი რომელსაც აშვენებდა ორი, სიმაღლეზედ მეზობლათ ჩარჭობილი ახალთ-ახალი კოკარდა. ამის დანახვა იყო და ჩემი გულის გადმოქანება, თვალით ვნახე რაც მოსვენებას მიკარგავდა და ჩემგვარ მომაკვდავთათვის მიუწვდომელ ბედნიერებათ მესახებოდა. თქვენი სასწავლებლის მასწავლებლების კოკარდების მნახველს რა კოკარდები უნდა გაგკვირვებოდაო, მეტყვიან, მაგრამ არა! ზოგს იქ ქუდი რო ძველი აქვთ, კოკარდები ახალი და ტანისამოსი ან ფეხსაცმელები ძველი, რაც სრულ წარმოდგენას ხელს უშლის, მაგალითად: ჩვენი ბერძნული ენის მასწავლებელს შარვლის თათი ძირაქაჩაჩიდამ ნახევარ არშინამდე ახეული ჰქონდა და შავი, შემორღვეული სახელო იღლიის ქვეშ თეთრი ძაფით გამოკერილი და რუსული ენისას—დახეული და გახუნებული სვრთუკი და ძველის-ძველი, ფერადებ ამოცვინვული კოკარდები. ეს კი, შარშან ერთად ჩვენთან კათეხიზმოს მოკაჭკაჭე, შვენიერების ღმერთად გადქცეულიყო. მასწავლებელთა შეხვედრას ნუღარ იკითხავთ: ხელის ჩამორთმევა, სალამი და ყოველი ღვთის წყალობა. მართალია ჩვენ ქართული ენის მასწავლებელს ზედაც არ შეუხედავს, მაგრამ ის ხომ დიდი ხნის შეთქმული მტერია ამგვარებისა, არაფერია, უმისოთაც კარგია! ამის შემდეგ მე იგინი უფრო შემიყვარდა, შემიყვარდა და მომენატრა მათთვის სიცოცხლე. ან კი როგორ არ შემიყვარდებოდა! ერთ დღეს რუსული ენის მასწავლეველმა ორი დამისვა. თავჩალუნული მოვდიოდი გაკვეთილების შემდეგ სახლში, რომ ვიღაცას მძლავრმა მუჯლუგუნმა უკან მიმახედა, „ისწავლე, ისწავლე თუ გინდა რომ“—და თითი შუბლზე დაიდო. მე წამსვე მივხვდი, კოკარდებზედ მეუბნებოდა და წყალმომატებულ წისქვილსავით მოუმატე მეცადინობას, ბეჯითობას.

მას შემდეგ გვარიანმა ხანმა განვლო, ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაზე, ბევრმა იმ ჩემ მასწავლებლებთაგანმაც დაუკრა ამ ქვეყანას თავი, მხოლოთ ამაგი არ დაკარგვიათ და მეც თქვენი მონა-მორჩილი, ვეღირსე ჩემი გულის საწადელს, მას, რასაც ჩემი ძალი და ღონე შევალიე. მართალია ამას ვერ მოესწრო საწყალი ჩემი მშობლები, ნამეტანმა ლოდინმა და თითქოს უიმედო იმედმა მათ ბოლო მოუღო, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი, თუმცა მე ეს არც ისე ადვილათ მომიხერხებია როგორც თქვენ მოგეჩვენებათ. გავათავე თუ არა სასულიერო სემინარია უფლება მოხვეჭილი გეახელი დ.— სამრევლო საბჭოს თავჯდომარე დეკანოზ —თან. მართალია არც ეს აუდიენცია დამჯდომია იოლად, მაგრამ შეყვარებული კაცი რო საქმეს მოაკვარახჭინებ, ხარჯს არარათ ჩათვლი. მე მაინც ვიტყვი, რომ მე ეს ადვილად მოვახერხე ერთი წლის ჯამაგირისა, საპანე სვირულისა (ჩვენში ღვინო მომეკავე დგება) და ოთხი ცხრა იმერული თხელ ხაჭაპურების მეოხებითა და წინ მიმგზავრებით. აი ამის შემდგომ ნება მეგოძა ჭრელი ქუდის შეძენისა. რომ იცოდეთ როგორი ლამაზი კოკარდები აურჩიე, ახალთ-ახლები, ძალზე ბრჭყვიალა, კრიალა, ორი განა ერთი! აქედამ მე ისინი თავზე არ მომშორებია და თუ ღამ-ღამობით ვიხდი, იმიტომ რომ საწოლში გაფუჭებისა მეშინიან, ნაყოფს ნუღარ იკითხავთ: პატივი, დიდება, სახელი და... საზორავი! წალმა დატრიალდა ჩემი ცხოვრება და ყოველი დოვლათით წყაროს თვალივით ამევსო სახლი.

საზოგადოებაზე უმსახუროც არ გეგონოთ, 10—15 წლის სახალხო მასწავლებელი, სოფლელი გლეხის შვილი ჩემს იქით სადღა წავიდოდა მაშ ყოველწლობით ორმოც-ორმოცი ჩაფარის, სოფლის მწერალის, ბოქაულისა და მისთანებისათვის ხელზე მოსამსახურე ბატონთა მოურავი და სხ. დაახლოვებით 600 კაცისათვის საქმე გამიჩენია, ლუკმა მი-

შოვნია, გამიბედნიერებია. მართალია ჩემსავით რწყვილ კოკარდებში ვერ გამომიწყვია, მაგრამ თითო ხომ მიშოვნებია და ბეჭებზედაც ჭრელი სირმები მომივლია, ესე თავის სახლში და თითქოს უხარჯოთ, მაგრამ გატეხით უნდა მოგახსენოთ, რომ იმდენი არავის უსარგებლია, რამდენიც მე თვითონ. ამაზე უჩემოთაც უნდა დამერწმუნოთ, რადგან თუ ბედმა გაგიღიმათ და ჩემსავით ბედნიერ სუფრას უზიხართ, თქვენ თავზე გმოცდილიო, მხოლოთ ნებით თუ უნებლიეთ არა, მაშინ ცხოვრებისაგან განაწამები კიდევ უფრო დარწმუნდებოდით მათ ძლიერება-ბედნიერებაში. სად გნებავდათ, რომ მას ძალა არ ეჩინა? ვთქვათ რომელიმე უბანში ჩხრეკაა. ვის დაიჭერდნენ? ყველას გარდა კოკარდიანებისას. გესტუმრათ რომელიმე მოხელე, უფროსი, დიდიკაცი. ვის ჩამოართმევდა ხელს, ვის დაემოწმებოდა და ესაუბრებოდა, ვის შეუსრულებდა თხოვნას? კოკარდიანებს და მხოლოთ კოკარდიანებს.

ერთმა შემთხვევამ კინალამ გული არ ამაყრევია და შემძულა იგინი, მაგრამ შემდეგ რომ დავრწმუნდი, შემცდარვიყავ და ყოველივე აჩქარებით მომდიოდა. ომის დაწყებისას მომითხოვეს როგორც სათდარიგო ჯარის კაცი. ბევრი ვიკუნტე, თავი მოვიკატუნე, არა მეშველა რა! გავრისხდი, ბრაზი ჩემს კოკარდებზე მომდის და ძალას ვერ იჩენდა. მაგრამ ჩქარა გონს მოვედი, ვიფიქრე, ვინ-უშველის სამშობლოს თუ არ მე და ჩემისთანები-თქო და ბედს შეურიგდი. გამხადეს ტანისამოსი, მომხადეს ქუდი, ჩემი იმედი და ნუგეში... რამდენი ტკბილი და ბედნიერი დღეები გაგვიტარებია ერთად ჩემო კოკარდებო თქო, ჩაუმღერეფ გამოთხოვებისას და ის დღე და ეს. მემათ ხანდახან ქურდულათ თუ ჩამოვიცვამ თავზე, თორემ აღარ მიტარებია.

შარშან, ერთ შვენიერ შემოდგომის დღეს, ჩვენმა კეთილმა ჯარის უფროსმა ცოლშვილის ნახვის უფლება მომცა და ნება დამრთველ ქალალდებით შინ გეახელით. თბილისს შვიდობით მოვატანე. პატარა ბავშვების ნახვის ძლიერმა სურვილმა აღარ მომაცდევინა შუა დღემდე და დაჭრილთა ცარიელ მატარებელს ბათომისკენ მიმავალს გავყე შორაპნამდე. მატარებელს უფროსობდენ სათნოების დები. არ მექნებოდა გავლილი ორი-სამი სადგურთ, მომვარდნენ ეს სათნო ხალხი და უშვერი ლანძღვა-გინებით მაგდებდენ მატარებლიდამ. წადი, დაიკარგე, ნება არა გაქვთო, მე ვეუბნებოდი: შემიბრალეთ საწყალი ჯარის კაცი, რომელსაც უპატრონოთ მიმიტოვებია ცოლ-შვილი, მომეცით შეძლება მოულოდნელი ნახვით გავახაროთქო, ღმერთი თქვენ ბედსა და იღბალს მომასწრებსთქო. არაო და მაგდებენ. ამ ჩხუბსა და ვაგლახში მოვატანეთ ხაშურს. აქ კი ტანისამოსი გამოვიცვალე, კოხტათ პირი მოვიპარსე, ჩემი სულსავით საყვარელი ქუდი დავიხურე, ლაზათიანად ვისადილე, ერთი ხელადა ღვინის დაყოლებით, და სახე გაპრიალებული მივადექი იმავ დებს და მატარებელს. მაგრამ აქ დამხვდენ უწყალო კანდუქტორები და კინალამ გვერდები არ ჩამიქციეს ცემით, როცა ვეფიცებოდი ჯარის კაცი ვართქო. კიდო კარგი, რომ მირჩიეს: სათნოების დებსა სთხოვეო; მათაც გამიღიმეს, რა ვიცი დასწყევლა ღმერთმა... მომიალერსეს და მთხოვეს წავბრძანებულვიყავი პირველი კლასით. თხოვნა აუსრულე და სულ ჭიკჭიკით ვიმგზავრეთ შორაპნამდე. როდესაც, გამოთხოვებისას იწუხეს ნეტავ ბათომამდე მოდიოდეო და მეც მოუყევი ჩემს მათთან თავგადასავალს, გაწითლდენ და ვერაფრით იმართლეს თავი.

ოჰ, სასწაულის მომხდენო ჩემო კოკარდებო, რამდენ გასაჭირს გადაგირჩენივართ და რამდენ სიკეთეს მოველოდი თქვენგან!"

სთქვა ეს, შვიდობა მისურვა და გამშორდა.

დიდ ხანს ვაყოლე თვალი მას; სულიერი არსება უმოძრავო ქანდაკებათ გადამექცია.

ალექ. მაჭარაშვილი.

წვრილი ამბები

მიხეილ კავსაძის გუნდის საზაფხულოდ 20 ამ თვიდან გაემგზავრება საგარაკო ადგილებში კონცერტების გასამართავად: გორში, ხაშურში, გომში, სურამში, ბორჯომში, წაღვერში და სხ. გუნდში მონაწილეობს 30 კაცი ქულაჯებით და გლეხურად გამოწყობილი. პროგრამა შესდგება რევოლიუციონურ, ქართულ და ევროპიულ სიმღერებისაგან. გუნდში მონაწილეობენ ახალგაზდა მომღერალნ: ნიკო კავსაძე, ამბროსი შანშიაშვილი, გიგო ბეჟანიშვილი, ი. სალირაშვილი (თარი), ი. უსტიაშვილი (ფანდური) და სხვა. შემდეგ გუნდი აპირებს პირველად გამგზავრებას კახეთში: თელავს, სიღნაღს, ველის ციხეს, საგარეჯოს ყარდენახს და გურჯაანს.

ერთაწმინდელმა დასწერა სამ მოქმედებიანი მელოდრამა „სადარაჯოზე" თანამედროვე ომიდან თუ ვისმეს სურს დასდგას, შეუძლიან ჩვენს რედაქციაში ჰნახოს და გაიგოს პირობა.

რედაქციამ მიიღო ახალ გაზრდა მწერლის რ. „გვეტაძის ნაწერთა კრებული თეთრი წიგნი (სნეული ლექსები)". წიგნაკი მეტისმეტად ორგინალურად არის გამოცემული, შეიცავს რამდენსამე მშვენიერს ლექსა და მინიატურას **24 გვ. და ღირს 40.**

ახალგაზდა მწერალი ლ. ძიძიგური მიიწვიეს **არმავირის** სკოლის გამგე-მასწავლებლად.

რედაქტორ-გამომგ. იოსებ იმედაშვილი.

რაჟ. გვეტაძე

(**რაჟ. რომანიშვილი**).

მოიკითხეთ ყველგან

„თეთრი წიგნი"

(სნეული ლექსები)

საზაფხულო მოგზაურობა;

თბილისის მომღერალი მგალობელთ გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართავს დიდ სახალხო

კონცერტებს

სურამში ივლისს 22, ხაშურში-23, გორში 26, შემდეგ ბორჯომში და წაღვერში. სხვათა შორის გუნდი შეასრულებს რევოლიციონურ სიმღერებს. გუნდის გამგეობა-

ხელოვანი მხატვარი დ. კიკნაველიძე

ადიდებს ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებს ყოველ გვარ საქმეს (საეკლესიოს და სხ.) შენაკვეთს ამზადებს საუცხოოდ, ფაქიზად და დროზე. თბილისში დროებითი მისამართი „თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში (ბაზრის ქ № 20), ბაქოში პოროხოვის ქ № 56 შეკვეთას მიიღებს ფოსტითაც.

სასახლის ქუჩა
თავად-აზნ. სახლი

ერთად ერთ რესტორან „**კაფე პარიზს**" საზაფხულოდ **აქვს ბაღი**, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილის** და **ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და კაბინეტები. **სანოვაგე საუკეთესო ღირსებისაა**

პატივისცემით სილ. გიგიბერია.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგრამა

ოპერეტა—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ფსამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ

შაბ—საღ.

კვირა—რუსულიწარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ქუთაისში
ქარხანები
ბ. ლაღიძე
ბ. ლაღიძე
ბ. ლაღიძე